<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

„საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №19-20, 30.07.96, გვ. 28) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 9

რეგისტრაციის ორგანო ვალდებულია სამხედრო აღრიცხვის განმახორციელებელ სუბიექტს სამხედრო აღრიცხვაზე მყოფი პირის რეგისტრაციიდან ან რეგისტრაციიდან მოხსნიდან 10 დღის ვადაში აცნობოს მისი რეგისტრაციის ან რეგისტრაციიდან მოხსნის თარიღი და რეგისტრაციის ახალი მისამართი (მისი არსებობის შემთხვევაში).“.

2. მე-14 მუხლის:

ა) მე-4 და 4^1 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საქართველოს მოქალაქის პირადობის (ბინადრობის) მოწმობა შეიძლება შეიცავდეს ინფორმაციის ელექტრონულ მატარებელს (პირადობის (ბინადრობის) ელექტრონული მოწმობა), რომელზეც ელექტრონული ფორმით დაიტანება (ჩაიწერება) პირადობის (ბინადრობის) მოწმობის მონაცემები.

$4^{1.}$ ინფორმაციის ელექტრონული მატარებელი შეიძლება შეიცავდეს კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის სერტიფიკატს, მის შესაბამის ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მონაცემებს, ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მონაცემების არასანქცირებული გამოყენებისაგან დამცავ აქტივაციის მონაცემებს და მისი გამცემი ორგანოს სერტიფიკატს, ასევე ფიზიკური პირის ავთენტიფიკაციის სერტიფიკატს, მის შესაბამის ავთენტიფიკაციის შექმნის მონაცემებს, ავთენტიფიკაციის შექმნის მონაცემების არასანქცირებული გამოყენებისაგან დამცავ მონაცემებს და მისი გამცემი ორგანოს სერტიფიკატს.“;

ბ) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. პირადობის (ბინადრობის) ელექტრონული მოწმობა უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) სახელს;

ბ) გვარს;

გ) სქესს;

დ) მოქალაქეობას;

ე) დაბადების თარიღს;

ვ) დაბადების ადგილს;

ზ) პირად ნომერს;

თ) ფოტოსურათს;

ი) პირადი ხელმოწერის ნიმუშს;

კ) მოწმობის გამცემი ორგანოს დასახელებას;

ლ) მოწმობის გაცემის თარიღს;

მ) მოწმობის მოქმედების ვადას;

ნ) სერტიფიკატებს ან/და გასაღებებს, რომლებიც განკუთვნილია პირადობის (ბინადრობის) ელექტრონული მოწმობის ან/და მასზე დატანილი (ჩაწერილი) მონაცემების ერთიანობის, ავთენტიკურობისა და კონფიდენციალურობის დაცვისათვის;

ო) მოწმობის წვდომის კოდს (CAN - Card Access Number);

პ) QR კოდს, რომლის მეშვეობით შესაძლოა გადამოწმდეს დოკუმენტის ან/და პირის შესახებ ინფორმაცია;

ჟ) მფლობელის თითის ანაბეჭდს.“;

გ) მე-8 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 8[1] პუნქტი:

„8[1]. პირადობის (ბინადრობის) ელექტრონული მოწმობა შეიძლება გაიცეს ამ მუხლის მე-7 პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემის გარეშე, როდესაც ჯანმრთელობის, ფიზიკური მდგომარეობის ან სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებით განსაზღვრული სხვა მიზეზის გამო შეუძლებელია პირისგან თითის ანაბეჭდის მიღება.“;

დ) მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. გარდა ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემებისა, პირადობის (ბინადრობის) ელექტრონული მოწმობის ინფორმაციის ელექტრონულ მატარებელზე ან სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში პირის შესახებ სხვა ინფორმაციის ასახვა და პირადობის ელექტრონულ მოწმობაზე დატანილი QR კოდით ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა შესაძლებელია მხოლოდ ამ პირის მოთხოვნით/თანხმობით. პირადობის (ბინადრობის) ელექტრონული მოწმობისა და დროებითი საიდენტიფიკაციო ელექტრონული მოწმობის დამატებითი რეკვიზიტები/ინფორმაცია და მათი დატანის/ხელმისაწვდომობის წესი განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.“;

ე) მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„11. დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობა გაიცემა ელექტრონული მატარებლის შემცველობით (დროებითი საიდენტიფიკაციო ელექტრონული მოწმობა). დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობა ელექტრონული მატარებლის შემცველობის გარეშე შესაძლებელია გაიცეს საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ განსაზღვრულ შემთხვევაში. დროებითი საიდენტიფიკაციო ელექტრონული მოწმობა და დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობა ელექტრონული მატარებლის შემცველობის გარეშე გაიცემა 1 წლის ვადით.“;

ვ) მე-11 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-12 პუნქტი:

„12. დროებითი საიდენტიფიკაციო ელექტრონული მოწმობა უნდა შეიცავდეს თითის ანაბეჭდს. თითის ანაბეჭდის შემცველობის გარეშე დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობა შეიძლება გაიცეს, როდესაც ჯანმრთელობის, ფიზიკური მდგომარეობის ან სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებით განსაზღვრული სხვა მიზეზის გამო შეუძლებელია პირისგან თითის ანაბეჭდის აღება. დროებითი

საიდენტიფიკაციო ელექტრონული მოწმობის ფორმა და ტექნიკური მახასიათებლები მტკიცდება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.“.

3. მე-15 მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. მუდმივი ბინადრობის მოწმობა 18 წლამდე პირზე გაიცემა 4 წლის ვადით, ხოლო 18 წელს მიღწეულ პირზე – 5 წლის ვადით.“;

ბ) მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 პუნქტი:

„2^1. დროებითი ბინადრობის მოწმობის მოქმედების ვადა განისაზღვრება ბინადრობის ნებართვის ვადით, მაგრამ 18 წლამდე პირზე გაიცემა არაუმეტეს 4 წლის ვადით, ხოლო 18 წელს მიღწეულ პირზე – არაუმეტეს 5 წლის ვადით.“.

4. მე-18 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი:

„6. გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლებისა, დაინტერესებული პირი უფლებამოსილია პირადობის (ბინადრობის) მოწმობა შეცვალოს, თუ პირადობის (ბინადრობის) მოწმობის მოქმედების ვადის ამოწურვამდე დარჩენილია 6 თვეზე ნაკლები. შეცვლილი პირადობის (ბინადრობის) მოწმობის გაუქმების წესი განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.“.

5. 20^3 მუხლის:

ა) 2^1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2^1. ბიომეტრიული პასპორტი უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს:

ა) პასპორტის მფლობელის:

ა.ა) სახელს;

ა.ბ) გვარს;

ა.გ) მოქალაქეობას;

ა.დ) დაბადების თარიღს;

ა.ე) პირად ნომერს;

ა.ვ) ფოტოსურათს;

ა.ზ) სქესს;

ა.თ) დაბადების ადგილს;

ა.ი) პირადი ხელმოწერის ნიმუშს;

ბ) პასპორტის გაცემის თარიღს;

გ) მოქმედების ვადას;

დ) პასპორტის გამცემი ორგანოს დასახელებას;

ე) პასპორტის ტიპის შესახებ მითითებას;

ვ) ქვეყნის კოდს;

ზ) პასპორტის ნომერს;

თ) პასპორტის წვდომის კოდს (CAN – Card Access Number).“;

ბ) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. თითის ანაბეჭდის შემცველობის გარეშე პასპორტი შეიძლება გაიცეს, როდესაც ჯანმრთელობის, ფიზიკური მდგომარეობის ან სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებით განსაზღვრული სხვა მიზეზის გამო შეუძლებელია პირისგან თითის ანაბეჭდის მიღება.“.

6. 20[5] მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-10 პუნქტი:

„10. გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლებისა, დაინტერესებული პირი უფლებამოსილია შეცვალოს პასპორტი, სამგზავრო პასპორტი და სამგზავრო დოკუმენტი, თუ დოკუმენტის მოქმედების ვადის ამოწურვამდე დარჩენილია 6 თვეზე ნაკლები. შეცვლილი პასპორტის გაუქმების წესი განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.“.

მუხლი 2

1. ამ კანონის ამოქმედებამდე გაცემული დოკუმენტები მოქმედებს კანონმდებლობით განსაზღვრული ვადით.

2. ამ კანონის ამოქმედებამდე წარდგენილი განცხადებების საფუძველზე პირადობის (ბინადრობის) ელექტრონული მოწმობები შესაძლებელია გაიცეს თითის ანაბეჭდის გარეშე.

მუხლი 3

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებისა, ამოქმედდეს 2026 წლის 1 იანვრიდან.

2. ამ კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტები ამოქმედდეს 2026 წლის 1 ივლისიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ ყაველაშვილი**